ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 348. კვირა, 10 ივლისი 1911 წ. დამატების № 61

მაწვნის გამყიდველი, კარანდაშით ნახატი კ. ქავთარაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრობა

(დრამა 4 მოქმედებად)

(დასასრული *)

ელიკო. დედა სად არის?!..

არჩილ. აქ არის... ჩვენ ბევრი ვილაპარაკეთ... გამოვარკვიეთ წარსული უსიამოვნების მიზეზები და...

ელიკო. (სიხარულით). შერიგდით?!..

არჩილ. შევრიგდით!.. გიხარიან, ელიკო?.. ეხლა კატო ეძებს ჩემ წერილებს, რომლებსაც მამა-შენსა ვწერდი ხოლმე... ნუ დაუშლი... მოდი აქ დავსხდეთ და ვილაპარაკოთ...

ელიკო. (უფებ). რა მოგსვლიათ?!.. ეხლა დაგაკვირდით... ავადა ხართ!..

არჩილ. დავსნეულდი, ჩემო ელიკო... ხორცითაც და სულითაც!.. (სხდებიან).

ელიკო სახლიდან როგორ გამოხვედით?!..

არჩილ. მე სახლი აღარა მაქვს, ელიკო...

ელიკო. როგორ თუ არა?!..

არჩილ. ისე!..

ელიკო. არსად?

არჩილ. არსად!..

ელიკო. მე რომ თქვენთან ვიყავ?!..

არჩილ. აღარც იქ... უკანასკნელი ჩემი პინა საავადმყოფოში იყო... იქიდანაც დამითხოვეს...

ელიკო. რად დაგითხოვეს?

არჩილ. შესატანი ფული აღარა მქონდა!..

ელიკო. მაშ აქედან სად წახვალთ?

არჩილ. ქუჩაში!

ელიკო. მერე?

არჩილ. ისევ ქუჩაში!..

ელიკო. ნაცნობები, მეგობრები არავინა გყავთ?!..

არჩილ. მყვანდნენ ერთ დროს... ეხლა-კი აღარავინ.

ელიკო. სულ არავინ?!..

არჩილ. აღარც ერთი!..

ელიკო. ჩვენ არ გაგიშვებთ... დედასა ვთხოვ!..

არჩილ. მე მაინც უნდა წავიდე...

ელიკო. სად?

არჩილ. ქუჩაში!.. (ბაუზა).

ელიკო. შეიძლება ერთი რამ გკითხოთ?

არჩილ. ელიკოს ყველაფრის კითხვა შეუძლიან...

ელიკო. ცოლ-შვილი არა გყავთ?

არჩილ. არა!.. მყავს, მაგრამ... დღევანდელი ჩემი მდგომარეობის მიზეზიც ეგ არის, რომ მყავს და არცა მყავს!..

ელიკო. ეგ დიდი საიდუმლოებაა?!..

არჩილ. ეს საიდუმლოება აღარავისთვის არის!..

ელიკო. თუ სულ ბავშვად არა მთვლით და თქვენი ტანჯვის ღირსად გამხდით, მითხარით!..

არჩილ. ტყუილად ნორჩ გულს აგიმღვრევ, ჩემო ელიკო!..

ელიკო. არა უშავს-რა... ჩამახედეთ ცხოვრებაში!.. მერე, თუ გნებავთ, დაუკრავ, გაგართობთ...

არჩილ. (მოეხვევა). ჩემო პატარავ!.. შენი ბავშვური ალერსი მაგონდება... (ბაუზა). ჩაუფიქრდი-კი ჩემს ალსარებას... მე მყვანდა ცოლი და პატარა ქალი... ცოლი მეტად პატიოსანი ქალი იყო და შვილი-კი თვალის წარმტაცი ბავშვი. ჩვენს ოჯახს წინ გადაეღობა ერთი უცხო ქალი... შეგვიყვარდა მე და იმას... უზომოდ... საზიზღრად!.. გასავალი არსად იყო: ან უნდა შეეერთებულიყავით, ან თავები დაგვეხოცა!.. ჩვენ ვარჩიეთ პირველი...

ელიკო. თავი დაანებეთ ცოლ-შვილს?!..

არჩილ. ჰო, დავანებე... გეზიზღები განა, ელიკო!...

ელიკო. არა... მაგრამ, როგორ გაიმეტეთ?!..

არჩილ. შენ ჯერ ბავშვი ხარ, ელიკო... ვერ გაიგებ ამას... ღმერთმა აგაცდინოს ამ გვარ გრძნობას, ტანჯვას!.. „ტანჯვა“ სუსტი სახელია... კუპრივით შავი მჭვარტლი... სუნთქვა შეგვეკრა!.. მე უნდა მეცოცხლა, რომ საზრდო მიმეწოდებინა ჩემი საყვარელი ბავშვისთვის...

ელიკო. შველოდით განშორებულ ცოლ-შვილს?..

არჩილ. ათი წელიწადი თავი არ ამიწევია, წელში არ გავსწორებულვარ!.. მზე არ დამინახავს... ღიმილი მხოლოდ მაშინ მომივიდოდა, როცა ჩემი გოგონას ალერსი გამახსენდებოდა!.. (ბაუზა). ბოლოს იმ ქალმა მიღალატა...

ელიკო. თქვენთან რომ ვნახე, იმ ქალმა?!..

არჩილ. ძალიან ნუ გაჭიცხავ, ელიკო!.. ფუფუნებას ჩვეულმა ვერ გაუძლო სილარიბეს... სხვაზე... მდიდარზე...

ელიკო. საზიზღარი!

არჩილ. მე ვერ გაუძელ ამ უბედურებას, გონება ამერია... სილა გავარტყი მის შეურაცმყოფელს... იმან გულში ტყვიით დამჭრა და ორი თვე საავადმყოფოში ვიწექი!.. აი ეხლა გამოვედი, თუმცა ექიმობა კიდევ საჭირო იყო ჩემთვის.

ელიკო. თქვენმა ცოლ-შვილმა არ იცის თქვენი ეხლანდელი მდგომარეობა?

არჩილ. იცის.. ვიყავ იმათთან!..

ელიკო მერე?

არჩილ. აღარ მიმიღეს!

ელიკო. ან უგულონი ყოფილან, ან ცრუ-ამბარტავნები!..

არჩილ. მე რომ თავი დავანებე?!..

ელიკო. მერე რა არის?!.. შესცდით... უბედურმა გრძნობამ აგიტაცათ...

არჩილ. ჩემი ცოლი ჯერ უარზე იდგა; მერე-კი ქალზე მიმითითა: თუ ის შიგილებს, მეც თანახმა ვიქნებიო!..

ელიკო. რა ხნისაა თქვენი ქალი?

არჩილ. ხუთმეტ-თექვსმეტი წლისაა!..

ელიკო. ჩემ ხანში ყოფილა!.. მაშ, ქალმა გადასწყვიტა თქვენი ბედი?!

არჩილ. ჰო.

ელიკო. იმ ქალმა, რომლის მოგონებაც ათი წლის ტანჯვას გიქარწყლებდათ?!..

არჩილ. იმ ქალმა!

ელიკო. საძაგელი!.. დედა სჯობნებია!.. გულ-ქვა, მახინჯი!.. არ შეიძლება ვნახო?

არჩილ. რად გინდა?

ელიკო. გავკიცხო, ჩავაგონო!.. რა მოგდით?!..

არჩილ. ნუ გეშინიან... სისუსტისაგან თავსბრუ მესხმის... წყალი მომაწოდეთ!.. (მიუტანს). შენ რომ შეგმთხვევოდა, ელიკო?

ელიკო. (გრძნობით). გაპატიებდი... გულში ჩავიკრავდი ტანჯულ მამას!..

---

*) იხ. სურათებიანი დამატება № 60.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ. კატო, აქ გამოდი!..

(შემოდის ნამტირალევი კატო).

არჩილ. აი ელიკო ამბობს, რომ ვაპატიებდი, გულში ჩავიკრავდი მამასაო!

კატო. ელიკო, მოდი ჩემთან... (ელიკო მიდის; კატო მოეხვევა). მაშ ეს რომ მამა-შენი იყოს, გაგეხარდებოდა?

ელიკო. ბედნიერი ვიქნებოდი!..

კატო. მაგის ცოლს კატო ერქვა, ქალს კი ელიკო...

ელიკო. (ატაცებული). რას ამბობ, დედი?!..

კატო. დამშვიდდი!.. წადი მოეხვიე მამას...

ელიკო. ღმერთო ჩემო!.. მამა!.. (მივარდება ტირილით, ეხვევა, უალერსებს. კატო ტირის. ელიკო წამოხტება და მივარდება დედას). დედიკო, მოდი შენც... მოუალერსე... მიჩვენე, რომ შენც გინდა მამას მეგობრობა!.. (მიიყვანს არჩილთან. კატო მოუჯდება, ხელს ხელზე დაადებს და ტირის. ელიკო დაჩოქილი უალერსებს არჩილს, ჰკოცნის ხელებზე). მამა, მამიკო!.. (დასუსტებული არჩილი ოდნავ-და იღიმება და ელიკოს თავზე ხელს უსვამს).

(შემოდის კოტე; გაოცებული შედგება).

ელიკო. (წამოხტება). კოტე, მამა!..

კოტე. არჩილ!..

არჩილ. მოდი, მოდი, კოტე!.. ჩემს ბედნიერებას მესამე მეგობარი-ღა აკლდა!..

კოტე. (მიდ. უცებ). შენ ავადა ხარ!..

არჩილ. ეხლა აღარაფერი მიჭირს!..

კოტე. ძალიან სუსტადა ხარ!.. აწყენს ამოდენი აღელვება... მოეცათ... (კატო და ელიკო მოშორდებიან. არჩილს უცებ წაუძინებს. ამის შემდეგ ჩურჩულით ლაპარაკობენ).

კოტე. ჩაეძინა!.. საბანი მოიტა, ელიკო!.. (ელიკო საჩქაროდ გამოიტანს; კოტე მუხლებზე მოახვევს). გავიდეთ აქედან... მოისვენოს ესე... (ყველანი მიდიან. კარებთან შედგებიან და არჩილს უყურებენ).

ელიკო. (ტირილით დედას ეკვრის). მამა, დედიკო!..

კოტე. სსს!.. (ხელით უჩვენებს გაჩუმდეს).

ფ ა რ დ ა.



კესო

პატარა ათის წლის კესო ჩქარის ნაბიჯით მიდიოდა, სოფლის უსწორ-მასწორო ქვა-ტალახიან და წყლებ გადადენილ ქუჩაში. დახეული ძველი შალი, რომელიც თავსა და ბეჭებს უფარავდა, თოვლ-ჭყაპიან წვიმას ჩამოესველებინა. წინა წლებში შეკერილი თბილი კაბა, კერასთან ჯდომით ბევრს ადგილს გამოეწვა ცეცხლის ნაპერწკლებს, დამოკლებულიყო და ძლივსა სწვდებოდა შუა წვივამდე. ცალ ფეხზე ჭრელი წინდა ეცვა, ცალზე-კი შავი. გახეულ წუღა'ში თავისუფლად შედიოდა წყალ-ტალახი და წუღის პირში ჩუხ-ჩუხით გადმოდიოდა, თითქოს ქვევრში მაჭარი ადუღებულა და გადმოსულაო. საწყალი გოგო-კი, მიდიოდა ქედ შეუხრელად, მისი ნაცნობი იყო ეს ქუჩები: იცოდა როგორ უნდა აექცია გზა ტალახისთვის, სად უნდა გადამხტარიყო და რით უნდა გაეშრალებინა. მარცხენა ხელით შალის წვერები დაეჭირა პირთან, ახლოს მარჯვენაში-კი თუნუქის სანავთე მიჰქონდა. დღის სინათლე ნელა მიიპარებოდა ქვეყნიდან და ღამის წყვდიადს უთმობდა სამოქმედო ასპარეზს. თოვლ-ჭყაპი განუწყვეტლივ მოდიოდა, და პირს უვსებდა პატარა მგზავრს. ქუჩებში სხვა არავინ არ ჰაჭანებდა. მთელი სოფელი სახლებში შებუდრულიყო, თავი გაერიდებია ცივი ამინდისთვის.

უკვე დაბინდებული იყო, როცა კესომ შეაღო სოფლის დუქნის კარები, გაბედულად შევიდა შიგ. დუქანში თავი მოეყარათ სოფლელებს. დუქნის ნახევარ მხარეზე ძლიერი შუა ცეცხლი გაეჩაღებიათ, მოსხდომოდნენ გარს და მუსაიფობდნენ. ზოგს შალი ესხა ბეჭებზე, ზოგს გაკეცილი ტომარი, ნაბდებიანიც ერივნენ. ვინ პაპიროზს აბოლებდა, ვინ ჩიბუხს. ხან გამოშვებით, როცა აღმოსავლეთისკენ დატანებულ კარს გააღებდა ვინმე, ნიავი შემოიჭრებოდა, ეცემოდა ცეცხლს, ხან აქეთ გასწევდა ხან იქით, თეთრს ბოლს თოკივით დაგრეხდა და გაჯავრებით ესროდა სახეში იქ მჯდომთ.

— გამარჯობა ლაზარე! — მიესალმა კესო, დახლში მდგომ შავ ჩოხა ახალგაზდა მედუქნეს.

— ოჰ, კესო? რამ მოგიყვანა ამისთანა ტაროსში. ეს რა, არი, ნავთი გინდა?—უპასუხა მედუქნემ და გაცივებულ ხელიდან ჩამოართვა ნავთის ჭურჭელი.

— გათბი ბიძია ცეცხლთან და მე ჩაგისხამ ნავთს. რამდონი გინა?—შეეკითხა ლაზარე.

— სამი გირვანქა.—უთხრა კესომ და გაიწია ცეცხლისკენ.

— ჩეიწიეთ პეტრე, მიუშვით ბოვში ცეცხლთან.— გადმოსძახა დახლიდან ლაზარემ. ისინიც ჩაიწ-ჩამოიწიენ და პატარა ხის სკამზე დაუთმეს ადგილი კესოს.

— გლახა გზაა, ბიძია, თქვენკენ?—შეეკითხა ერთი.

— ძაან გლახა ბატონო, თხრილები წყლითაა გარარებული, წისქვილის ბოგირი წყალმა წეიღო.

— უჰ, უჰ, უჰ,—წამოიძახეს და გადაიქნიეს თავები.

— ამ შავ ზამთარ'ში ბოვშებია საცოდავი, რაფრათ უნდა იარონ ამ და იმა შუა,—სთქვა ერთმა.

— სად კაცო, შკოლას ამბოფ?

— შკოლის ჰო, კაცო შკოლას, იმ დალოცვილებმა დეიჯინეს დიდ გზაზე უნდა გაკეთდესო და სოფლისა-კი, არაა დასამფხარი. ნახევარი ვერ დადის ამ სიშორეზე.

— მაგი სულ ვერხვაძეპის ბრალი იყო, იგენს უნდოდათ ცხვირის წინ ქონოდათ კლასი.—დაურთო მესამემ.

— ჩვენ რავა გავბრიყვდით და რავა დაუთმეთ რაცხა ათ მოსახლეს, თვარა იგენს რა ენაღვლებოდათ...

— იმე, იმ კაცებმა საეზოვე უფასურეი დაუთმენ კლასს, ვერ დეინახეთ?—ჩაერია ერთი მოხუცი.

— შენც დადიხარ, კესო, კლასში?—შეეკითხა ერთი ახალგაზდა.

— კი, მე მღვდლის კლაში დავდივარ, იქინეი შორს არიო და არ შემიყვანა ბებიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აჰა, კესო, ნაფთი. წადი ახლა ჩქარა თვარა ძაან დაგვიანდება.—უთხრა მედუქნემ და მოაწოდა სანავთე.

— მართლა, მედელეფნები არ დაბრუნებულარიენ თუ იცი?—შეეკითხა კესო.

— აა უჰ, რამდენი ხანია მევიდენ.

— რა ვქნა, მინდა ერთი დოუძახო ლობერზე მარა ძაღლების მეშინია.—სთქვა კესომ შეწუხებით და კბილით ჩაიკვნიტა ხელის ფრჩხილი. ამ დროს კიდევ გაიღო კარი, და შემოვიდა დუქანში, სქელი განიერის ბეჭებით, ჭაღარა შერეული ბესო, ეს იყო მედელეფნე.

— ბესო! მაძაჩემი თუ ნახე არაფერი გამოგატანა?

ჰკითხა კესომ შემოსვლის უმალვე.

— თითონ ჩამევიდა მამაშენი, იაგორეის დელეფანს მოყვა.

— რის მეფნები!—დაიძახა გახარებულმა კესომ.

— გეიქეცი ბიძია, გეიქეცი, ახლა შინ იქნება მისრული.—უთხრა მედელეფნემ და მიუბრუნდა მეზიბლებს სალამით. გახარებულმა კესომ დაავლო ხელი ნავთის ჭურჭელს, ხურდა შავი ფული მსწრაფლად დაუყარა დახლზე მეფდუქნეს, და გავარდა დუქნიდან. თითქოს ფრთები გამოესხაო ისე მიფრინავდა. ვერც ღამის სიბნელე აფერხებდა, ვერც თოვლ-ჭყაპი და ვეღარც წყალ-ტალახი. გზათ ვილაც შემოეხეჩა, კაცს ყურ ჩაკეცილი ტომარი წამოეფარებია თავზე, დაგლეჯილი ჩოხა წელზე დაეხვია და მუხლამდის ტალახში მიერეკებოდა ორ გამხდარ მოზვრებს, რომელნიც სხვის საქონელს შეჰყოლოდნენ ფარეხში და ეხლა მიჰყავდა პატრონს. კესოს გულიც არ შეუქანდა ამ ღამეში კაცის დანახვაზე, შურდულივით ჩაუარა გვერდით. ეხლა აღარ ერიდებოდა წყალ-ტალახს, პირდაპირ მიტოპოვდა შიგ, რა არის ჩქარა მისულიყო შინ და ჩქარა ენახა საყვარელი მამა.

— უთუოდ მომიტანდა ფეხსაცმელს, რამდენი ხანია შემომითვალა: „ფეხსაცმელებს გიყიდიო“. ილაჯი გაუწყდა კესოს მედელეფნეებთან სიარულით, აი, თუ მომივიდა ფეხსაცმელიო, მაგრამ ტყვილა თელა გზა შობას, ახალ წელიწადს. უჰ, რა რიგ უნდოდა ახალ წელიწადს ახალი ფეხსაცმელი. მაგრამ არაუშავს, ხვალაც ხომ ნათლიღებაა, ეხლა უთუოდ მოუტანდა იქნება ქუსლიანებიც არის. აი კაბაც თუ მომიტანა, მაშინ უყურე, ის გულ ავი თებრონია ვეღარ დამცინებს, ყველას, რომ ჩემზე უთითებდა შკოლაში. ღმერთმა აცოცხლოს ჩვენი მასწავლებელი მღვდელი, რა კეთილია. რა ნაირად შეარცხვინა გოგოები, რო დამცინოდნენ, როგორ მოჰყვა, ქრისტე სულ ფეხშიშველი დადიოდაო“... უჰ, ნეტაი ჩქარა მივალწიო სახლში.

აი მიუახლოვდა ეზოს, ჩავიდა ჭისკარში, სახლიდან ცეცხლის შუქი გამოკრთის, კესო ჭურჭუტანასთან დაიხარა და შეიჭვრიტა სახლში. ცეცხლს უსხედან აქეთ ბებია და იქეთ მამა. ორივე კარებს მისჩერებოდენ კესოს მოლოდინში. კესომ ჰკრა კარებს ხელი, მოხუცმა ბებიამ ვერ მოასწრო ფეხზე ადგომა რომ კესომ დადგა სანავთე, სველი შალი შორს გადისროლა და მოევლო მამას კისერზე.

— ჩემო გოგო, რამოდენა გაზდილხარ, უკვე ქალი ხარ. ხომ სწავლობ, ხომ ყველაფერს უგონებ ბებიას?

— კი მამა კი, მთელი დედა-ენა ზეპირად ვიცი ის ნახევარი დედა-ენა კი არა შენ რომ დამიტოვე, ბებიამ მიყიდა, წითელ ყდიანი. ნახატებით, სულ ახალი ნახატებით. სანდრო კარქათ არი, დიდი გაიზარდა? დედაც? ფეხსაცმელები მომიტანე?

ყველაფერი ერთად მიაყარა ცოცხალმა კესომ და დაუწყო თვალიერება მამის წითელ კანტებიან პალტოს. მუხლთან ჩაუჯდა და მამის ხელი აიღო გაციებულ ხელებში.

მოხუცმა მაგდანმა დიდხანს არ ალოდინა ნამგზავრს სიძეს, ჩქარა გაუშალა სუფთა, დაბალ ფეხიან ხის პატარა სუფრაზე დაამტვრია ცხელი მჭადი, სადილზე მონარჩენი ლობიო გააცხელა, ნიგვზით შენელებული კომბოსტოს წნილიც მოიტანა, გვერდით ხელადა მოიდგა, საიდანაც ასხამდა წყალნარევ ღვინოს.

— შვილო, უკაცრავად ვარ მარა, დღეს დიდი მარხვაა ნათლიღების წინ დღე.—მოიხადა ბოდიში.

ივახშმეს, იმუსაიფეს. კესო აღფრთოვანებული ათვალიერებდა თავის რიზინიან ფეხსაცმელს. შეკერილ თბილ კაბას ხომ აღტაცებაში მოჰყავდა, თბილი შალიც რომ მოუტანა მამამ, ჩულქებიც.

— ოხ ღმერთო შენ მიცოცხლე დიდხანს ჩემი კარგი მამა, ჩემი ბებია, ჩემი სერგოც, ეჰ, დედამაც იცოცხლოს. ბიძიამ და ბიცოლამ? მაგრამ ბიცოლა ბოროტია. რათ გამოეგდო ბებია, ჩემი კარგი, ჩემი კეთილი ბებია.—ჰფიქრობდა უკვე ლოგინში ჩაწოლილა კესო.

— ხვალ დილით ჩავიცვამ ახალ ტანისამოსს და ისე წავალ წირვაზე, ვეცდები არ დამესვაროს ფეხსაცმელები, რავა გოუკვირდებათ. მე არც-კი შევიმჩნევ თუ ახალი მაცვია. ისევ ისე მივალ ყველასთან ისევ ისე თავ-მდაბლათ ვიქნები, როგორც წინეთ ვყოფილვარ.—ფიქრობდა კესო ასეთებს, ერთხელ კიდევ გადახედა ცეცხლის პირას მსხდომ მამას და დიდედას. პირი კედლისკენ გადიბრუნა. ერთხანს მისჩერებოდა შავად გამქვარტლულ კედლებს რომელიც ცეცხლის შუქზე გიშერივით ბრწყინავდა. კუთხეში, სკივრის თავზე, ფალას-ფულასში ჩახვეული კატა გულიანად ხვრინავდა, მეორე კუთხეში ბაგაზედ დაბმული ჭრელი ძროხა იცოხნებოდა, იქვე ახლოს მიბმული ხბოც ძილში ფრუტუნებდა. ქათმის საბუდარიდან მოზდილი წიწილების ფუფუნი ისმოდა. სახლის საკვამლეში ქვენა ქარი ზუზუნით უბერავდა და ძველებში შეკუჭულ ისლს გამონგრევას უქადდა. კესომ, ცოტა ხანს უგდო ყური ყველა ამათ, ერთხელ კიდევ გადახედა გონების თვალით თავის ახალ ტანისამოსს. გულიანად დაამთქნარა, პირჯვარი გადისახა და მიეძინა.

(შემდეგი იქნება)

მ. გარიყული.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი. მადათოვის კუნძული, სტამბა „სორაპანი“